ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

43 (10082) •10 noemberi • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ეს გზა ტაძრამდე მაინც მიგვიყვანს...

ალიონი. „ეს გზა ტაძრამდე მიგიყვანთ, ტაძარსაც გაცდებით ცოტათი, მაგრამ მერე ავდარში, შიგადაშიგ, ჩექმა თუ არა, კალოში მაინც დაგჭირდებათ“, – გვითხრეს გასულ კვირას ადგილობრივებმა ოზურგეთში, ექადის უბანში კაპიტალურად შეკეთებული წმინდა გიორგის ქუჩის გადაღებისას.

სამუშაოებს აქ „გზამშენი-18“ (ხელმძღვანელი თეიმურაზ ვკახვა), აწარმოებდა, რომელმაც ჩვეულ ტრადიციას არ უღალატა და პროექტისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 450 ათასამდე ლარით ქუჩის 600 გრძივ მეტრზე მაღალხარისხოვნად დაგო შავი საფარი, მოაწყო წყლის საწრეტი ბეტონის არხები, გააკეთა მეწყერსაწინააღმდეგო გაბიონები, ტროტუარი.

მოკლედ, ძალიან გაცვეთილი ფრაზა თუ არ გამოგვივა, ეს ადგილი ახლა ისე გამოიყურება, შეიძლება ქალაქის სავიზიტო ბარათადაც კი გამოვიყენოთ.

„კარგად მესმის ექადიელების გულისტკივილი, მაგრამ პროექტი რაც იყო გათვალისწინებული, პირნათლად შევასრულეთ. მე თუ მკითხავთ, რასაკვირველია, აუცილებელია ქუჩის ბოლომდე მოასფალტება. რამდენადაც ვიცი, ასეთია ქალაქის ხელმძღვანელობის პოზიციაც, პრიორიტეტადაც კი განიხილება ეს საკითხი. კარგი იქნება, თუ თანამედროვე ტიპის ლამპიონები დაიდგმება ქუჩის დასაწყისიდან ახალაგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძრამდე, რომელიც ოზურგეთელი ბიზნესმენის მერაბ კონტრიძის მეოხებით აშენდა. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „გზამშენი-18-იც“ გაიღებს თავის წვლილს“, – გვითხრა თეიმურაზ ვკახვამ.

წმინდა გიორგის ქუჩის მოსახლეობა იმედს გამოთქვამს, რომ ქალაქის ახალი ხელისუფლება სიტყვას არ გატეხს, საარჩევნოდ მიცემულ დანაპირებს შეასრულებს – გზის მშენებლობასაც ბოლომდე მიიყვანს, გაზიფირებასაც დაასრულებს, სასმელი წყალსაც უწყვეტად მიაწოდებს და სხვა პრობლემებსაც მოაგვარებს, რომელიც ექადიელებს არც ისე ცოტა აქვთ.

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა 1 ნოემბერს მთელი ღამის კოკისპირულმა წვიმამ და ღვარცოფმა 2 ნოემბრის გამთენიისას თავსატეხი გაუჩინა ოზურგეთელებს.

სტიქიას ვერც ამ გზის მარჯვენა მხარეს გაკეთებულმა გაბიონმა გაუძლო. წარმოქმნილმა მეწყერმა გაანგრია გაბიონი და ჩიტანა რამდენიმე კედარი, ნაწილობრივ ძირი გამოაცალა ახალდაგებულ გზას, მწყობრიდან გამოიყვანა ელექტროსადენები და ბოძები. საბედნიეროდ, სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

როგორც ადგილზე მოსულმა ქალაქის ხელისუფლებამ, „გზამშენი-18-ის“ ხელმძღვანელობამ და სპეციალისტებმა განაცხადეს, ზარალი საკმაოდ სერიოზულია. ქალაქის მერის ბეგი სიორიძის თქმით, ყველაფერს იღონებენ საიმისოდ, რომ გზის დაზიანებული მონაკვეთი უახლოეს პერიოდში სრულყოფილად აღდგეს.

სტიქიას მობილიზებული შეხვდა სამაშველო სამსახური და ოზურგეთის სერვისცენტრი. თავსხმა წვიმაში, ოპერატიულად მუშაობის შედეგად, 15 საათისათვის მათ შეძლეს გაეწმინდათ გზის ჩახერგილი მონაკვეთი, აღედგინათ ელექტროსადენები.

შემთხვევის ადგილიდან უკან დაბრუნებისას, მექორწილეთა ავტომანქანების კოლონა შეგვხვდა, გზა არ არის, გზა,– ვანიშნეთ დაწინაურებულს. სვლას უკლო, ღიმილით მოგვესალმა, არა უშავს, ტაძრამდე მაინც მივალთო, გვიპასუხა. მერე უკანა ხედვის სარკეში გაიხედა და მომყვითო, გასძახა დანარჩენებს. გაბმულმა სიგნალმა გვამცნო, რომ მივიდნენ კიდეც...

დღეის მდგომარეობით, გზის ამ მონაკვეთზე ავტომანქანით გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს მარცხენა მხარეს.

რა, სად, როდის

უკანავაში მოსახლეობას ელექტროენერგია გაუთიშეს

მეზობლების დავალიანების დასაფარავად დედამ საკუთარი უნარშეზღუდული შვილის დახმარების თანხა გაიღო

ალიონი. 28 ოქტომბერს სოფელ მთისპირში, უკანავას უბანში მოსახლეობას, დავალიანების გამო ელექტროენერგია გაუთიშეს.

ამის შესახებ „ალიონს“ უკანავას მკვიდრმა, ქალბატონმა მერი შავაძემ აცნობა:

სულ 300 ლარი გვქონდა 30 ოკვახს შესატანი. ხუთმა ოკვახმა ვერ მოახერხა დათქმულ დროზე ფულის მოტანა და ყველა გაგვთიშეს, მაშინ, როცა აქ მდებარე ბახვიჰესი, რომელიც, სხვათა შორის, უკვე უნდა გამოიმუშავებდეს ელექტროენერგიას და ამ ელექტროენერგიით გარკვეულ შეღავათებსაც უნდა აძლევდეს ადგილობრივ მოსახლეობას, 24 საათის განმავლობაში გადაკაშაშებულია“, – გვითხრა ქალბატონმა მერიმ.

მანვე დავალიანების თანხა საკუთარი უნარშეზღუდული შვილის დახმარების ფულით შეავსო და „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრში შეიტანა:

„ჩემი ოკვახური მდგომარეობა ყველა იცის, უნარშეზღუდული შვილს ვუვლი და უელექტროენერგიობა არაფრით შეიძლება. ავდექი, მისი დახმარების ფულით შევავსე მეზობლების დავალიანების თანხა, ჩამოვიტანე და „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრს მივაშავე. პატიოსანი მეზობლები მყავს და ვიცი, არსად დამეკარგება. არ მკითხოთ ახლა, ხელისუფლება თუ არის საქმის ყურში. თუ არაა, უნდა იყოს, მაგრამ, მართალი თუ გინდათ, გასაჭირში მყოფი ხალხისთვის არც ძველი უწია ღმერთს და არც ახალი, – დასძინა მერი შავაძემ.

„საპატიო ოზურგეთელის“ წოდება 5 პიროვნებას მიენიჭება

ალიონი. გასულ პარასკევს ქ. ოზურგეთის მერიაში „საპატიო ოზურგეთელის“ წოდების მიმნიჭებელი კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ ალეკო ტუღუში აირჩიეს.

კომისიაში შედიან ოზურგეთისათვის ცნობილი პიროვნებები (სულ 15 კაცი). სხდომას ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე ესწრებოდა.

ბეგლარ სიორიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ოზურგეთლობის“ გამართვის დეტალები. სავარაუდოდ ივი 6, 7 ან 8 ნოემბერს გაიმართება. „ოზურგეთელობას“ სავარაუდოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრება.

„საპატიო ოზურგეთელის“წოდების მისანიჭებლად კომისიამ 5 პიროვნება შეარჩია.

სკოლებში – პროფესიონალები, სცენაზე – პროფესიონალებს მიახლოებულები

ლია გიგაური: ოზურგეთი №2 საჯარო სკოლა საქართველოში პირველია, ბოლო სამი წლის განმავლობაში ქვეყნის არც ერთ სხვა სკოლას არ ჰყოლია 14 ათასანი მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში

ალიონი.. მასწავლებელთა პროფესიული დღე ოზურგეთში მასშტაბურად აღინიშნა. 1 ნოემბერს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ საზეიმო ღონისძიებას, მასპინძლებთან – 44-ვე სკოლის პედაგოგებთან და წარმატებულ მოსწავლეებთან ერთად, ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელები, ქალაქ ოზურგეთის მერიის და საკრებულოს თავკაცები, განათლების დარგის პასუხისმგებელი მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრებიც კი.

ღონისძიებაზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ლელა იმედაშვილის გამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, ოზურგეთელ პედაგოგებს მართლაც აქვთ საზეიმოდ საქმე თავიანთ საზოგადოებრივ სამოღვაწეო არეალში.

იმედაშვილმა პროფესიული დღე მიულოცა ყველა მოქმედ პედაგოგს, გაიხსენა გარდაცვლილი კოლეგებიც, დარბაზს თხოვა, წუთიერი დუმილითა და ფეხზე წამოდგომით პატივი მიეგოთ წლების განმავლობაში კონჭკათის საჯარო სკოლის დირექტორის რეზო ფაცაციას ხსოვნისათვის, რომლის დაკრძალვისა და ღონისძიების ჩატარების დღეები დაემთხვა ერთმანეთს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ისაუბრა განათლების სისტემაში განხორციელე-

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 ნოემბერი	4 ნოემბერი	5 ნოემბერი	6 ნოემბერი	7 ნოემბერი	8 ნოემბერი	9 ნოემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
წვიმა +5+8	წვიმიანი თოვლი, 0+8	მზე, +4+12	მზე, +3+15	მზე, +6+16	მზე, +13+18	ღრუბელი +13+22

რა, სად, როდის
საყოველთაო აღწერა დაიწყო

„ალიონი“ საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაიწყო. როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გურიის კოორდინატორმა სევერიან საჯაიამ გვითხრა, 1 ნოემბრიდან დღეის ჩათვლით, რეგიონში მიმდინარეობს წინასწარი შემოვლა. დგინდება იმ ოჯახების ვინაობა, რომლებიც ადგილზე არ იმყოფებიან. მცხოვრებლებთა ამჟამინდელი რაოდენობა და ა.შ.

საყოველთაო აღწერის მთავარი ეტაპი კი 5 ნოემბერს დაიწყება და 19-ში დასრულდება.

საჯაიას თქმით, რეგიონში მუშაობს 331 აღმწერი, 35 კონტროლიორი და 5 სექტორი.

კონცერტითა და ერთდროული სეანსით მიღებული სიამოვნება

ალიონი. 29 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გამართული კონცერტი, ალბათ, დიდხანს არ დავიწყებთ მონაწილეებსა და დამსწრეთ. კონცერტში მონაწილე სავშვო ანსამბლებმა მომზადებისა და შესრულების მაღალი ოსტატობა გამოავლინეს.

კონცერტს ესწრებოდნენ ქალაქის მერი, ბატონი ბეგლარ სიორიძე და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე. ასევე ქალაქის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

კონცერტის დასასრულს ქალაქის მერმა, ბატონმა ბეგლარ სიორიძემ ჭადრაკში ერთდროული სეანსი გამართა ბავშვებთან და კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ნორჩმა მოჭადრაკეებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს საჭადრაკო დაფაზე.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელის მაია ნიკოლაიშვილის თქმით, ბავშვებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობები ჩადეს ამ კონცერტში: „ნებისმიერი კონცერტისათვის ჩვენი ბავშვები დიდი მონდომებით ემზადებიან. დღეს კი მათ ერთგვარი გამოცდა ჩაბარეს ქალაქის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე და ვფიქრობ, მოწონებაც დაიმსახურეს. ვიმედოვნებთ, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს ყურადღება არ მოაკლდება ხელისუფლების მხრიდან“, — აღნიშნა ქალბატონმა მაიამ კონცერტის დასასრულს თავის გამოსვლაში.

„ოზურგეთის თეატრმა კვლავ მოირგო ევროპული სცენა“

20-26 ოქტომბერს ოზურგეთის თეატრი გაემგზავრა და იმყოფებოდა ლიტვაში, ქალაქებში: ვილნიუსი, პანევეზისი და როკისკისი. თეატრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში „ინტერ რამპა“. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ვასილ ჩიგოვიძის თქმით, „დიდი ხნის პაუზის შემდეგ ოზურგეთის თეატრმა კვლავ მოირგო ევროპული სცენა“...

თეატრის დირექცია პრესკონფერენციას მედიისათვის დღეს გამართავს. ლიტვურ შთაბეჭდილებებს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ

სკოლებში – პროფესიონალები, სცენაზე – პროფესიონალებს მიახლოებულები

ბულ რეფორმებზე, უფასო სახელმძღვანელოებსა და ტრანსპორტზე. ამ რეფორმების შედეგად ოზურგეთის სკოლებში მიღებულ შედეგებზე.

ყურადღება გაამახვილა სოფელ ჭანიეთის სკოლის შენობის ავარიულ მდგომარეობაზე, რის გამოც სასწავლო პროცესი ალტერნატიულ შენობაში მიმდინარეობს. იმედი გამოთქვა, რომ 2015 წლისათვის, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, ახალ შენობაში ისწავლიან ამ სოფლის ბავშვები, მით უფრო, რომ უკვე არსებობს და დამტკიცებულია შესაბამისი პროექტი.

იმედაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ბოლო სამი წლის ის 22 წარმატებული მოსწავლე (მე-7, მე-8 და მე-9 კლასელები), რომლებიც ლეპტოპებით დაჯილდოვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

წარმატებულ მოსწავლეებს ჯილდოები გადასცა თვით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა:

„მინდა, მოგილოცოთ ოზურგეთელებს ეს დღე და ყველას გაცნობოთ, რომ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა ქვეყნის მასშტაბით პირველია საქართველოში, ბოლო სამი წლის განმავლობაში, არც ერთ სხვა სკოლას არ ჰყოლია 14 ათასანი მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში. მოხარული ვარ, რომ მე მერგო ამ შესანიშნავი ბავშვების დაჯილდოების პატივი“, — თქვა მინისტრის მოადგილემ.

ღონისძიების მეორე ნაწილში ოზურგეთელმა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა დაამტკიცეს, რომ შესაბამისად სწავლებასა და სწავლაზე არანაკლებ ეხერხებათ სცენაზე საკონცერტო ნომრების შესრულება. მათი საკონცერტო ნომრებით პროფესიონალებიც კი მოიხიბლენ. განსაკუთრებულად მოეწონათ ვაკიჟერის საჯარო სკოლის პედაგოგთა გამოსვლა, აქ მომუშავე ამერიკელი პედაგოგი ქალის ქართულ ენაზე შესრულებული სოლო. რაც შეეხება ლიხაურის საჯარო სკოლის მასწავლებლის ირმა გორდელაძის მონოლოგს, კარგი იქნება თუ მის ვიდეოჩანაწერს გადასცემენ საქართველოს ტელევიზიებს, რათა მთელმა საქართველომ ნახოს, სინამდვილეში როგორია ჯანსაღი ქართული იუმორი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს

„ალიონი“. 31 ოქტომბერს კულტურულ ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმსა“ და ქ. ოზურგეთის მერიასა და საკრებულოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ფონდის პროექტით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოსთან წლევანდელ გაზაფხულზე გაფორმდა მემორანდუმი და შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ბიუჯეტის ფორმირებისას შესაბამის რეკომენდაციებს შესთავაზებს საკრებულოებს.

ალა გამახარია, ფონდის ხელმძღვანელი: ჩვენი პროექტი სამ ქალაქში ითვალისწინებს მსგავს საბჭოს შექმნას, ერთიც განსხვავებული ფორმით გვაქვს ბათუმში. ოზურგეთში საუკეთესო გუნდი გვყავს ჩვენი საბჭოს სახით და მიხარია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც ურთიერთთანამშრომლობას აქტიურად დაუჭირეს მხარი.

ქალთა მიმართ ძალადობაზე ისაუბრეს

ალიონი. მძიმე სტატისტიკა ქალთა მიმართ ძალადობისა, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, ძალადობის მიზეზები და მძიმე შედეგების თავიდან აცილება — ეს იყო თემა, რაზედაც ისაუბრეს ფონდ „სოხუმთან“ არსებული ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებმა და რაც საზოგადოების უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. შეხვედრა 31 ოქტომბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. დისკუსიის ფასილიტატორი კლუბის ხელმძღვანელი ნანა კეკელიძე გახლდათ.

— პრობლემა დაუძლეველია რომელიმე ცალკეული რგოლის მიერ. აქ სისტემური მუშაობა საზოგადოების ცნობიერებაზე თავიდან, ბაღის ასაკიდან იწყება და მუშაობაც სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, — აღინიშნა შეხვედრაზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალი დემოკრატები“ ოზურგეთშიც შეიქმნება.

„ალიონი.“დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული მოქალაქეთა გაერთიანება „საქართველოს ახალი დემოკრატები“საქართველოს უმეტეს რეგიონებში უკვე შეიქმნა.

როგორც ამ ორგანიზაციის ქობულეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ანზორ სოლომონიძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, „საქართველოს ახალი დემოკრატების“საქმიანობის მთავარი საგანი დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და საზოგადოებრივი სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებაა. ორგანიზაციის მიზანია საქართველოს მოქალაქეების კონსოლიდაცია და მათი ჩაბმა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში; ადამიანის უფლებების დაცვა.

ამ მიზნით, წესდების შესაბამისად იქმნება მხარდამჭერთა ცენტრები, სადაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა გაწევრიანების, ერთმანეთთან შეხვედრის, აზრის გაცვლის და საქმის კეთების საშუალება.

სტუმრად ოსიაურში

„ალიონი“ ქ. ოზურგეთის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ინიციატივით სოფ. ისიაურში მდებარე სამხედრო ნაწილში იმ ჯარისკაცების მშობლები ჩავიდნენ, რომელთა შვილები იქ მსახურობენ. ოსიაურში სტუმართა შორის ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძეც იყო.

—ჩემი მშობლები უცხოეთში არიან წასულები სამუშაოდ. მე წავედი და ჩემი ძმა ვნახე. იგი ძალიან კმაყოფილია სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელთა ყურადღებით. დღეს ქართულ ჯარში სამსახურია საამაყოა —გვითხრა თამუნა გაზაშვილმა.

კონჭკათში ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობა დაიწყო

„ალიონი“ წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით სოფ. კონჭკათში გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. ტენდერში გამარჯვებულმა თბილურმა ფირმამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ შეასრულა და ამჟამად ეს პროექტი სხვა კომპანიას გადაეცა.სამუშაოები გრძელდება.

მიმდინარე სამუშაოების მოსანახულებლად სოფ. კონჭკათში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და საკრებულოს წევრი ტარიელ არაშიძე იმყოფებოდნენ.

ნოემბერმა ზამთრის პირველი კლანჭები გამოაჩინა

„ალიონი“ 1-2 ნოემბრის კოკისპირულმა წვიმებმა და ღვარცოფებმა გურიაში მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც დროებით შეჩერდა სიმინდის, ციტრუსის მოსავლის აღება და საზამთროდ შეშის დამუშავება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში კვლავ დაიმეწყრა გზები. სინოპტიკოსების ცნობით მნიშვნელოვნად დაეცემა ჰაერის ტემპერატურა. მოსალოდნელია ნალექი თოვლჭყაპის სახით, თუმცა ოთხშაბათიდან გამოიდარებს და კვლავ დათბება.

კედარზე ექსპერიმენტს ატარებენ



„ალიონი“ ქალაქ ოზურგეთში, ექადიის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის ეზოში, დამყაყებული წყლით სავსე აუზში, როგორც ჩანს, კედარზე ექსპერიმენტს ატარებენ.

კარგა ხანია, ზეზეურად გამხმარმა და ფესვებდამპალმა კედარმა, ქარის დახმარებით, აუზში გაადინა ტყაპანი. ხის დამუშავებასა და ტერიტორიის დასუფთავებაზე კი არავინ ზრუნავს და, როგორც

ჩანს არც იზრუნებს, სანამ კედარის კუთრი წონა წყლის კუთრ წონას არ გადააჭარბებს, ხე მთლიანად წყალში არ ჩაიძირება და არ ჩალპება. არადა, რომელიმე მარტოხელა ამ კედარიდან დამზადებული შეშით ზამთარში მინიმუმ ერთ თვეს მაინც გაითბობდა გაყინულ ძვლებს.

ჩაყლაპავს თუ არა კერძო ბაღები სახელმწიფო ბაღებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემები განიხილა.

დეპუტატ ლალი სიჭინავას აზრით, მიუხედავად არსებული პირობებისა, საბავშვო ბაღებში ზოგ მშობელს მაინც ვერ მიჰყავს ბავშვი.

დეპუტატი ბიძინა გობრონიძე კი ფიქრობს, რომ სახელმწიფო ბაღებს კერძო ბაღები ჩაყლაპავს.

ლელა საჯაია: – ამ ეტაპზე კერძო ბაღები სახელმწიფო ბაღებს რეგიონში კონკურენციას ვერ გაუწევენ...

ბონდო ღლონტი: – შეიძლება ბაღს ექთანი ან დამლაგებელი არ ჰყავდეს?

ტიტე მგელაძე: – სოფ. ძიმითში 5 ბაღი იყო. ერთი შენობა დაშალა, მეორე იშლება. სავარუდოდ, სოფელში ბავშვების კონტიგენტი გაიზრდება და ახალი ბაღის გახსნა იქნება საჭირო.

როზეტა სკამკოჩაიშვილი: – სოფ. დვაბზუსა და სოფ. გაღმა დვაბზუში ბავშვების კონტიგენტი თანაბარია – 42-42 ბავშვი. 15-ზე მეტი ბავშვი მშობლებს ქალაქის ბაღებში დაჰყავს. დვაბზუს ბაღში მზარეულის თანაშემწე დაინიშნა, გაღმა დვაბზუში –არა. გაღმა დვაბზუში ბუნებრივი აირი შეყვანილია, დვაბზუში -არა.

მაიზერ ცელაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების სამსახურის უფროსი: – ყველა სოფელში ბაღებზე ერთნაირად უნდა იზარჯებოდეს ფული, იმის მიხედვით, თუ რა სჭირდება ერთჯგუფიან თუ რამდენიმეჯგუფიან ბაღს...

ამ პრობლემას არ უშველის ქალების მაიკაზე წარწერა „ქმარო, ხელი არ დამარტყაო“...

ამ დილით (ივულისხმება 31 ოქტომბერი) რომ შევიტყვე, გუშინ ტელევიზორში ოჯახური ძალადობის საკითხზე სასაუბროდ ქეთათო და ნანუკა ჟორჟოლიანი ჰყავდათ მოწვეულიო, გული დავდევი, მივხვდი, აწი ამ საკითხზე აღარ უნდა ვინერვიულოთ, ისეთი სწორი აქცენტები იქნებოდა დასმული და რეცეპტები გამოწერილი პრობლემის მოსაგვარებლად. რადგან არ მინახავს გუშინდელი გადაცემა, თუ რამეში ქეთათოსთან და ნანუკასთან განვმეორდები, იმედია, მაპატიებთ. ძალადობაზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყდეს, რომ ეს არის სოციალური, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ეკონომიკური პრობლემა, და ყველაზე დიდი შეცდომაა, როცა საყოფაცხოვრებო ძალადობას განიხილავენ მხოლოდ სქესთაშორისი დაპირისპირების პრიზმაში. ასე ჩვენ მივალთ ფემინიზმის სკანდინავიურ კონცეფციამდე , სადაც კაცსა და ქალს შორის განსხვავება აბსოლუტურად წაშლილია, დომინირებს ლოზუნგი „სულს სქესი არ გააჩნია“, აქედან კი ერთსქესიანთა ქორწინების პროპაგანდამდე ერთი ნაბიჯია .... ფბ–ს ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, დეტალურად განიხილო ძალადობაზე ეჭვიანობის, ალკოჰოლიზმის, ტოტალური უმუშევრობის და აქედან გამოწვეული საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნების, ბავშვობაში გადატანილი ძალადობის სინდრომის და სხვა მიზეზების შედეგები, მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, ერთი რამ ფრიად მნიშვნელოვანია - აღმოსავლურ, მათ შორის კავკასიურ მენტალობაში საზოგადოების აზრს, ინტერესებს ყოველთვის ადამიანის პიროვნულ ინტერესებზე , მის თავისუფლებაზე მაღლა აყენებდნენ. დასავლეთში პირიქით და განსაკუთრებით დღეს, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა საზოგადოების ინტერესებზე მაღლა დგას. ჩვენ ვართ სადღაც შუაში გაჩხერილი , ჩვენი ტრადიციებით და მენტალობით , რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ხშირად დასავლურ, ჩვენთვის მიუღებელ ღირებულებებთან, რომლებიც სწრაფად მკვიდრდება ყოველდღიურობაში. აქ უნდა ვეძებოთ, ჩემის აზრით, მთავარი პრობლემა. ამის მიკვლევას კი სერიოზული პროფესიონალების ღრმა კვლევა ჭირდება. ამ პრობლემას ქალების მაიკაზე წარწერა „ქმარო, ხელი არ დამარტყაო“, არ უშველის , არც ნანუკას და ქეთათოს მარიაჟი უშველის ეთერში და არც კაცების დაგინება, ბოზიშვილი ვიყო , მეტს აღარ ვიზამო ... ასეთ ქმართან რომ ცხოვრობ, არასდროს გიცდია დაშორებაო? დაშორება არა, მაგრამ მოკვლა ძალიან ხშირადო ...

ზურაბ თოლიძე,
სოციალური ქსელიდან

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ინგა დუმბაძემ ექვსსულიანი ოჯახი მიიღო საცხოვრებლად

„ალიონი“. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ინგა დუმბაძემ ერთი კვირაა, რაც საცხოვრებლად მიიღო ექვსსულიანი ოჯახი, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროდან უწყლობას, გვალვებსა და მოუსავლიანობას გამოექცა გურიაში.

ამის შესახებ „ალიონს“ 29 სექტემბერს თვით ინგა დუმბაძემ განუცხადა.

იმ ფონზე, როცა ოზურგეთის გამგეობაში 500-მდე უსახლკაროს სია დევს, რომლებიც დროებით საცხოვრებელს ითხოვენ, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ცოტა უცნაურია, თუმცა, როგორც ქალბატონმა ინგამ გვითხრა, ის მზად იყო, საცხოვრებლად მიეღო რომელიმე ოჯახი. ამ მიზნით პირადად მოინახულა ყოფილი საავადმყოფოს შენობაში შესახლებული ადამიანები, შეხვდა სოციალური სამსახურის მუშაკებს, განაცხადა სოციალურ ქსელ ფეისბუკშიც, მაგრამ, რაც უნდა უცნაურად გეჩვენოთ, სოფელში საცხოვრებლად გადმოსვლა და მიწასთან ურთიერთობა არავინ ისურვა თურმე:

„ცოტა გაკვირვებული დავრჩი, მეტიც, შევშინდი, რადგან შრომისმოყვარეობა ვერავის შევატყვე. არადა, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგი პირობები შევთავაზე – დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართი, დენის გადასახადითა და შეშით უზრუნველყოფა. მათი მოვალეობა იქნებოდა გაშენებული მამულის მოვლა, რაშიც შემოსავლის ნახევარს მიიღებდნენ. ჩემი მამული არც ისე დიდია და მესმის, რომ იქ მოწეული მოსავლის ნახევრით მილიონერი ვერ გახდებოდნენ, მაგრამ საკუთარი ოჯახის კვების რაციონის სულ მცირე 30%-ის მოყვანას ხომ შეძლებდნენ“, – გვითხრა ინგა დუმბაძემ.

ერთი კვირის წინ ჩემმა ოჯახმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროდან საცხოვრებლად მიიღო უწყლობის, გვალვებისა და მოუსავლიანობის გამო გურიას გამოქცეული ექვსსულიანი ოჯახი. იმედი მომეცა, მშრომელი, პატიოსანი ხალხია. სასმელი წყლის უქონლობა ჩემს სოფელსაც აწუხებს, მაგრამ იმედია, რომ 2015 წელს ეს პრობლემა მოიხსნება. სოფელ ბაღდადს უნიკალური წყალსაცავი აქვს ვაკიჯვრის მთებში, საიდანაც წყაროს წყლები თვითდინებით მოეწოდება სოფელს. როგორც გავიგე, გაისად გაზიფიკაციის პრობლემაც გადაიჭრება. ამიტომ, ვიმედოვნებ, რომ ჩემს ოჯახს მის ახალ მოსახლეებთან ერთად თანაცხოვრების პრობლემა არ უნდა შეექმნას“, – გვითხრა ინგა დუმბაძემ.

მოსახლეობის დაბინავებისა და დასაქმების პრობლემებიდან გამომდინარე, ქალბატონი ინგა სახელმწიფოს სთავაზობს, რომ ცალკე შემუშავდეს პაკეტი ქალაქიდან სოფელში გადასვლის მსურველთათვის:

„ეს პაკეტი ისე უნდა იქნეს გათვლილი, რომ მას გასწვდეს სახელმწიფოს თხელი ჯიბე. უნდა შეიქმნას მასტიმულირებელი პაკეტი საოჯახო მეურნეობების წახალისებისთვის. ამგვარი ქმედებები მცირე ფერმერებს გაუჩენს განცდას, რომ სახელმწიფო თვალს ადევნებს და შეძლებისდაგვარად მხარში უდგას მათ. უდავოა, სოფლის შენარჩუნებისა და განვითარების გარეშე, მთელი ჩვენი კულტურა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატად იქცევა. ვფიქრობ, სახელმწიფომაც უნდა აუბას მხარი არა მხოლოდ სოფლის მოსახლეობის, არამედ ქალაქელების სოფელში დასაქმებას. პაკეტის პროექტით დაინტერესდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი მერაბ ჭანუყვაძე და, როგორც მისგან ვიცი, ხსენებული პაკეტი კონცეფციის დონეზე დიდხანს არ დარჩება“, – თქვა ბოლოს ინგა დუმბაძემ.

ინფორმაცია, თითქოს ბუნებრივი აირის მომხმარებელ მოქალაქეებზე შეშის ჭრის ნებართვა არ გაიცემა, არ დადასტურდა

თუ ბაზაში არ ხართ, ჭრის ნებართვას ვერ მიიღებთ, თუ ბაზაში აღმოვჩნდით, 7 კუბური მეტრი შეშისთვის იხდით 42 ლარს. თუ ხე სამასალედ გინდათ, უფრო ძვირის გადახდა მოგიწევთ.

მარი კოძოევი, ქეთი ბოლქვაძე

ზამთარი ახლოვდება და შესაბამისად აქტუალური ხდება სათბობი შეშის დამზადების საკითხი. თემა კიდევ უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ შეშის ჭრის ნებართვა აღარ გაიცემა იმ კომლზე, რომელიც უკვე სარგებლობს ბუნებრივი აირით. აღნიშნულ ინფორმაციას ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება მოჰყვა.

საკითხის აქტუალობის გამო „ალიონმა" გადაწყვიტა, ინფორმაცია შესაბამის სტრუქტურებში გადაემოწმებინა. სწორედ ამიტომ ოზურგეთის სატყეო სამმართველოს უფროსს, კახა გაზდელიანს შევხვდით.

გაზდელიანის მტკიცებით, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება: „სიცრუეა. შეიძლება ვიღაცამ თქვა ვარაუდის დონეზე, მაგრამ წერილობით რაიმე დოკუმენტი არ არსებობს. სათბობი შეშის დასამზადებლად ტყეკაფვების გამოყოფის წესში არაფერი შეცვლილა. ნებართვას მიიღებს ყველა ის პირი, რომელიც რეგისტრირებულია ელექტრონულ ბაზაში. ხშირად მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ტყეკაფები ტერიტორიულად შორსაა ცენტრიდან, აქედან რომ გაიხედავ, ახლომახლო მაღლობები სულ გამწვანებულია, ტყე გეგონება, სინამდვილეში ასე არაა, ტყეკაფები საკმაოდ შორსაა ცენტრიდან".

გაზდელიანს ასევე ვკითხეთ, აქვთ თუ არა რაიმე სახის შეღავათები პენსიონერებს და ომის ვეტერანებს?

„პენსიონერებს შეღავათი არ აქვთ, არც ომის ვეტერანებს, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი მიმდინარეობს", – გვითხრა მან

ამოქმედდება თუ არა შეშის ჭრაზე რაიმე სახის შეზღუდვა იმ პირებისთვის, რომლებიც ბუნებრივ აირს მოიხმარენ? ამ კითხვით გარემოს დაცვის საკითხებში მთავარ სპეციალისტს, ჯანო ვასაძეს მივმართეთ.

„არანაირი შეზღუდვა, არაფერი შეცვლილა, ყველაფერი კეთდება ისე, როგორც გასულ წლებში. ყველა მოქალაქე არის თანაბარ პირობებში. განურჩევლად ყველასთვის ერთ მოსახლეზე გაიცემა 7კუბური მეტრი შეშა“.

ამასთან, როგორც ვასაძემ თქვა, სრულყოფილი ბაზის შესაქმნელად მიმდინარეობს მოსახლეობის აღწერა: „აღწერა შარშანაც ჩატარდა, მაგრამ არ იყო სრულყოფილი. გამორჩენილი იყო დახლოვებით 30 ოჯახი, ამიტომ საჭირო გახდა აღწერის თავიდან ჩატარება. ზუსტად არ ვიცით, როდის დასრულდება ეს პროცესი, რის შემდეგაც მიღებული მონაცემები გადაეცემა სამინისტროს“.

მოქალაქემ შეშის მოჭრის ნებართვის მისაღებად გარკვეული თანხა უნდა გადაიხადოს „ლიბერთი ბანკში“. როგორც ამ ბანკის ოპერატორმა ნათია ჩავლეიშვილმა გვითხრა, ამისთვის მხოლოდ პირადობის მოწმობაა საჭირო. პირადი მონაცემების შეყვანით ხდება მოქალაქის ელექტრონულ ბაზაში ძებნა. თუ ბაზაში არ ხართ, ჭრის ნებართვას ვერ მიიღებთ, ხოლო თუ ბაზაში აღმოვჩნდით, 7 კუბური მეტრი შეშისთვის იხდით 42 ლარს. თუ ხე სამასალედ გინდათ, შესაბამისად უფრო ძვირის გადახდა მოგიწევთ.

გიორგი სალუქვაძის წიგნის პრეზენტაციაზე



ალიონი. ქთბილისში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქართული ცეკვის დამსახურებული ჭირისუფალის რეზო ჭანიშვილისა და ოლეგ ალავიძის ავტორობით გამოცემული წიგნის „გიორგი სალუქვაძე 100“ პრეზენტაცია გაიმართა.

„ეს წიგნი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, მკვლევარის, ინჟინერ-გამომგონებლისა და კონსტრუქტორის გიორგი სალუქვაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მასში თანმიმდევრულადაა აღწერილი და უაღრესად მრავალმხრივი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის ბავშვობის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის წლები, ნაჩვენებია თუ როგორი რუდუნებით და მიზანსწრაფულობით აკეთებდა ბატონი გიორგი ყველა ბატონი გიორგი ყველა იმ საქმეს, რომელიც დაკავშირებული იყო ქართული კულტურის აღმავლობისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებასთან“ -აღნიშნულია წიგნის ანოტაციაში.

ფოლკლორის ცენტრში შეკრებილმა საზოგადოებამ ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცა.

აშენდა, მაგრამ უფუნქციოდ დარჩა

ალიონი. მკითხველს, რასაკვირველია, ახსოვს, რა ამაკი იყო ქალაქ ოზურგეთის გულისგულში ამ შენობის აშენება-არაშენებაზე: ტაქსისტებისა და მოქალაქეთა ერთი ნაწილის მრავალჯერადი საპროტესტო აქციები, მედიასაშუალებებში გაკეთებული განცხადებები... ამ საკითხზე მაშინდელი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ რგოლებს შორისაც არ იყო ერთნაირი აზრი, მაგრამ ითქვა და აშენდა.

არ არის ურიგო შენობა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე უფუნქციოა! უფუნქციო შენობა კი, რა გინდ კარგი არქიტექტურისა უნდა იყოს, ქალაქისა და მისი მოსახლეობისათვის ხუხულაა და სხვა არაფერი.

ხსენებული შენობა პსპ-ს აფთიაქ-კლინიკად იყო ჩაფიქრებული, თუმცა, ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩა. სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილი იყო აქ მსგავსი დაწესებულების ფუნქციონირება, მაგრამ ეს არ არის შენობის უფუნქციობის ნამდვილი მიზეზი, როგორც ამბობენ, აფთიაქ-კლინიკა ორ კერძო სამედიცინო ფირმას შორის კონფლიქტს შეეწირა.

ნაკაიძეთა (ნაკაშიძეთა) საგვარეულო

ნაკაიძეთა საგვარეულო ნაკაშიძეთა წიაღში ამოიწვერა გვიან შუა საუკუნეებში.

ნაკაშიძეთა საგვარეულოს „ძირი ბუდე“ ჯერ კიდევ საძიებელია.

ადრე ეს საგვარეულო „ნაკანი“-ს ფორმით იწოდებოდა, შუა საუკუნეების შუა ხანებში „ნაკაში“-ს სახით და მხოლოდ გვიან შუასაუკუნეთა შუახანებში გარდაიქმნა „ნაკაშიძე“-დ.

ამ სახელის ერთი შტო გვიან-შუასაუკუნეთა პირველ საუკუნეებში შუა გურიას სახელდება (გურიანთის თემი) და ძალიან დიდ წარმატებას აღწევს, მისი ერთი შტოს წარმომადგენელი თავადი ხდება.

ეს პროცესი XII საუკუნეში სრულდება.

თავადი ნაკაშიძე თანდათან იუცხოვებს თავის ადრინდელ სახლიშვილებს და ნაცვლად იმისა, რომ თვით შეიცვალოს გვარი, როგორც ეს საакაძეთა გათავადებისას (თარხნიშვილი) მოხდა, ძველ სახლიკაცებს აიძულებს, გვარსახელი მათ შეიცვალონ და ამ ნიადაგზე იბადება ახალი საგვარეულო სახელი „ნაკაიძე“, რომელიც მხოლოდ ერთი ასოს (-შ) ამოგდებით განსხვავდება პირველისაგან.

როდის მოხდა ეს, ჯერ შესწავლილი არ არის. წინასწარულად თუ ვივარაუდებთ, იგი XVII საუკუნის უადრესსაა საგუვებელი.

ნაკაიძეები თავად ნაკაშიძეთა სათავადო სახლის აზნაურები ხდებიან და საამისო ვალდებულებასაც კისრულობენ.

დრო თანდათან მძიმდება და ნაკაიძეთა აზნაურული სახლიც ამის შესაფერისად იშლება. ამ სახლის ერთი ნაწილი, რომელიც სააზნაურო რიგის შესრულებას ვერ ახერხებს, იძულებულია გამოეთხოვოს აზნაურობას და ყმა-გლეხთა სხვადასხვა ფენებში განაწილდეს.

XVII საუკუნეში ეს პროცესიც დასრულებულია. ამავე დროს აზნაურთა სახლი ყმა-გლეხთა სახლთან გვარ-სახელის ერთობას უხერხულობს, მაგრამ შეცვლას მაინც ვერ ახერხებს.

და ეს არა მარტო ნაკაიძეთა სისუსტეს მოწმობს, არამედ ასეა, საერთოდ, გურიის მთელ სამთავროშიც.

აზნაური ნაკაშიძეები გვიან შუა საუკუნეებში თავად თავდგირიძეთა სახლსაც ემსახურებიან. ისინი მეტწილად გელაურა-ხუცუბნის სექტორში სხედან.

როდის და რა გზით მოხვდნენ ისინი ქვემო გურიას, დღესდღეობით გამოკვლეული არ არის და კარგა ხანია თავის მკვლევარს ელოდება.

ილ. მაისურაძე შუა გურიას ამ გვარის სამკვიდროდ ნატანებს ასახელებს მხოლოდ და იქვე მიუთითებს, რომ „ამავე გვარეულობით დასახლებული სოფელია ქობულეთის რაიონშიც“ (მისი „ქართული გვარსახელები“, 1981. გვ. 121.). სამწუხაროდ, რა ეწოდება ამ სოფელს მკვლევარი არ ასახელებს.

ჯერ ამ სახელის არც „ძირი ბუდე“ დაუდგენია ვისმე და არც „ძირი ხატი“.

რადგან ნაკაიძეები მხედართა წოდებას განეკუთვნებოდნენ, ამიტომ მათ „ძირ ხატად“ წმინდა გიორგის ხატი აღიქმება.

ნაკასძე – იხსენიება შავშეთის თემ მიქირიონს. ეს ნაკასძე ნიკოლოზია (ტბეთის სულთა მატიანე, 1977, გვ. 100)

ნაკასძე ჯერ კიდევ არაა სრული გვარი. ეს არის გარდამავალი სახის სახელიდან (ნაკა) გვარზე (ნაკაძე).

გამოჩენილი ნაკაიძეები:

ბეჟან ნაკაიძე - საქართველოს დამსახურებული არტისტი;

ხუსეინ ნაკაიძე - აჭარის განათლების სახალხო კომისარი (1932-1934), აჭარის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი (1934-1935), ბათომის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი;

ირაკლი ნაკაიძე (ხუსეინის ძმა) - აჭარის განათლების მინისტრი (1946-1949). ბათომის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და დეკანი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ლიანა ირაკლის ასული ნაკიძე - ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის უნივერდიტეტის დოცენტი.

ნაკაიძეების საგეოგრაფიო არე: შუა გურია, ქვემო გურია, ზემო აჭარა, შუახევისა (მაწვილთის საკრებულო) და ხულოს (ღორჯომი) რაიონები.

შუა გურია: ნატანები ოზურგეთი.

ქვემო გურია: ხუცუბანი, აქ ცალკე უბანსაც ეწოდება მათი სახელი.

გამოსაკვლევია საიდან მოხვდნენ მაწვილთასა და ღორჯომს.

რამაზ სურმანიძე აზნაურებს რუსეთის საპატიო მოქალაქეებს უთანაბრებს. აზნაურთა ოჯახებში შეაქვს. აქ იხსენიება რამდენიმე ნაკაიძეც.

პირველია ხასან ზაბითის ძე, ხუცუბნის მცხოვრები (კინტრიშის უბანი), შთამომავლების საპატიო მოქალაქე (თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის უბანი), მაგრამ ეს ხომ ვაჭართა ფენიდან გახლდათ.

ამავე წოდებისაა ოღლაურელი (გონიოს უბანი) ძმები, ხასან ნაკაიძის შვილები: ალი-აღა, ახმედაღა, მუსტაფა-აღა და რეჯებ ეფენდი (იქვე).

სვანური – ნაკანი

შესწავლის ისტორია: ილ. მაისურაძე, იოსებ ბექირიშვილი, რამაზ სურმანიძე.

იური სიხარულიძე

მიხეილ სალაძის ტურნირზე

24-26 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩატარდა მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები. სულ მონაწილეობდა 250-მდე სპორტსმენი.

აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზა ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა. ჩემპიონები გახდნენ: 50კგ ირაკლი ძიმისტარიშვილი „ლიხაურის ფილიალი“ მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე. 63კგ დავით ბაკურაძე მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები. მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს 63კგ გია გორგაძემ და 85კგ ედუარდ ღლონტმა. მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი. მესამე ადგილზე გავიდნენ: 50კგ გიორგი ჩხაიძე მწვ.ზ. და ი. ზურაბიანები, 54კგ გიორგი ლაბაძე მწვ. თენგიზ ლაბაძე, 58კგ რომან ლომინაძე და 100კგ საბა ცეცხლაძე „ლიხაურის ფილიალი“ მწვ. ალ. ბოლქვაძე

ხსოვნა

ოთარ სიხარულიძის მოგონება



კიდევ ერთი ლამაზი ისტორია დასრულდა, დასრულდა ერთი ღირსეული სიცოცხლე, ცხოვრება კაცისა, რომლისთვისაც ვაჟკაცობა, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა თანამდევი იყო. ამ ლამაზ, ცხოვრებისეულ ისტორიას ასევე ლამაზი სახელი და გვარი ამშვენებდა - ოთარ სიხარულიძე.

მართალი კაცი იყავი. არც წარსულის გეშინოდა და არც მომავლისა. ლამაზად და კაცურად იცხოვრე და დატოვე კვალი ნათელი და სათქმელი, „რომ ცხოვრება მართლაც ღირდა!“

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ, ჩვენო დაუვიწყარო, მონატრებულო მამა, ბაბუა. ერთი წელი სრულდება, რაც ზეციურ სასუფეველში გადასახლდი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. თუმცა, არის ერთი რამ, რაც ჩვენს ნატკენ გულს სალბუნად ედება და ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ ამით, იმიტომ, რომ შენ იყავი ერთგული მეუღლე, შვილების და შვილიშვილების საოცრად მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

ჩვენ, ადამიანები უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე. ყველაფერ უფლის ნებაა. ამიტომ უფალს შევავედრებთ შენს ნათელ სულს. გპირდებით, მამა, შენს მარადიულ ადგილსამყოფელს არასოდეს მოვაკლებთ მოვლას და წმინდა სანთლებს.

უფალი გფარავდეს. გვიყვარხარ და ძალიან გვენატრები.

შენი ოჯახი.

ეთერ ჟორდანიას მოგონება

9 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი დედი.

11 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს ვიკრიბებოდით, სიხარულით აღვნიშნავდით შენს საყვარელ ნინიკოსთან ერთად. დღეს კი უშენოდ ვღნიშნავთ, ვიგონებთ იმ ბედნიერ წლებს, რცა ჩვენ გვაკავშირებდა. შენს საფლავთან მოვდივართ, სანთლებს ვანთებთ და ყვავილებს ვდებთ.

84 წლის გახდებოდი დედი. გიხაროდა, შვილთაშვილებს ნინის დაბადებას მოვესწარიო, პატარა წიგნიც „ნოველას“ სახით დაწერე– გაიზრდება, წაიკითხავს და ბებოს გამიხსენებსო. ასე იქნება ნამდვილად დედი.

ძნელია საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ძალიან მიჭირს უშენობა დედი. შენს მეტი არავინ მყავდა შემომძახებელი, მიამედებდი, მახალისებდი, რომ უკეთესად ვიქნებოდი. ყოველ დილით ჩამესმის შენი ხმა, ძახილი ცი...რა.... მაგრამ ამაოდ, არსად ჩანხარ. სიტყვებს ვერ ვპოულობ, ვერ გამოვხატავ, ვერ გეფერები, ისე მენატრები დედი.

ღმერთმა ინებოს, მაცოცხლოს, რათა შენს საფლავთან მოვსულიყავი ყვავილებით და სანთელი ამენთოს.

მეტი რა დამრჩენია დედი, მხოლოდ შენი მოგონებები, შენი დარდი, გულისტკივილი, შენი ქალიშვილი ცირა.

დაე, ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

ცირა ჩიკვაიძე.

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება გაღმა დვაბზუს საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **თამარ (თაფლო) ბასილაშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ორმეთის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის **რეზო ფაცაციას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის **ნუნუ გოგუაძე-ჟღენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს შორენა თავაძეს, დავით ხურციძეს მეუღლისა და მამის **თემურ ხურციძის** გარდაცვალების გამო.

„მერცხალი“ ლიდერთან დამარცხდა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (Iლიგა) მე-11 ტურის მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“) 0:3 დამარცხდა გათამაშების ლიდერთან თერჯოლის „საპოვნელასთან.“

„საპოვნელა“ 24 ქულით გათამასების ლიდერია. „ვაგრას“22 ქულა აქვს, ხოლო ქედის „ბეთლემს,“რომელიც კარგა ხანს გათამასებას ლიდერობდა, 19 ქულა. იგი სახლში 0:1 დამარცხდა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერთან „ალგეთთან.“„მერცხალს“ 11 ტურის შემდეგ (3 მოგება, 3 ფრე, 5 წაგება; ბ-შ 12-26) 12 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-8 ადგილზე იმყოფება.

იყიდება

ოროთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში (ლოჯით, რკინის კარებით, გაზიფიცირებული, არტეზიული ჭით).

მის. დოლიძის ქ. №13; ბინა 7, III სართ. (რკინიგზის სადგურთან ახლოს).

ტელ: 551 76 76 32; 599 76 76 51 (მახო).

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე